№ 34 21 მარტი, პარასკევი 1866–1875 21 მარტი, პარასკევი № 34

# დროება

რედაქცია
მოლნინის (აბას-აბატის) მაედანზე, ყორღანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე — 10 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

რუსეთის ფოშტა ჯერ კიდევ არ მოსულა ქალაქში. ამის გამო დღევანდელი „დროების“ ნომერი რუსეთის და უცხო ქვეყნების განყოფილებას ძალა-უნებურად სრულებით მოკლებულია.

## საქართველო

### პოლემიკის მნიშვნელობა

— რა არის, ბატონო, ამ „დროებაში“ ჩვენი ლანძღვის მეტი კი არა არის რა და! მუდამ კერძო პირებს ეხებიან, მუდამ კერძო ცხოვრებაზე სწერენ.

ამისთანა სიტყვებს, ამისთანა აზრს ხშირად გაიგონებთ „დროებაზე“ ჩვენს საზოგადოებაში.

მაგრამ რომ ჰკითხოთ: აბა, მიჩვენეთ „დროებაში“ ერთი სტატია, ერთი სიტყვა, რომელიც კერძო პიროვნებასა და იმის ცხოვრებას შეეხებოდესო, მერწმუნეთ, ბევრიც რომ ეძიონ, ვერ ნახვენ და ვერ გიჩვენებენ.

ერთმა დაიყვირა: *გაზეთი ამა და ამ კერძო პირს შეეხოო.* მეორემ ამას ცოტა დაუმატა და სთქვა: *გაზეთი კერძო პირებს შეეხოო;* მესამემ კი საზოგადოთ და გადაწყვეტით გამოსთქვა, რომ *„დროება“ მუდამ კერძო პირების ცხოვრებას ეხებაო,* — დაამნაირად ზოგიერთებმა, რომელნიც გაზეთს არ ადევნებენ თვალ-ყურს და ყოველ აზრს სხვისი სიტყვებით არდგენენ, შეიდგინეს საზოგადო აზრი გაზეთის ხასიათზედ.

გაზეთს ყოველთვის აქვს უფლება, და არათუ უფლება — მოვალეობაც, შეეხოს კერძო ცხოვრებას იმ პირისას, რომელიც საზოგადო ასპარეზზე გამოდის, რომელსაც რაიმე საზოგადო მნიშვნელობის მქონებელი თანამდებობა ან საქმე უკისრნია, ან ჰსურს იკისროს.

ვინც „დროებას“ კერძო პიროვნების შეხებას აბრალებს, ნეტავი ასვა-დასვა ის და ერთი კვირით დასვა, ამორჩევების ანუ კენჭის ყრის დროს, სხვაგან სადმე ისეთს ქვეყანაში, სადაც სხვა და სხვა საზოგადო თანამდებობის პირებს საზოგადოება ირჩევს.

საფუძველი აქვს ამ ქვეყნების ხალხს, როდესაც ამბობენ, რომ ყოველი კაცი, რომელსაც ჰსურს რომელსამე საზოგადო ასპარეზზე გამოვიდეს, კერძო ცხოვრებაშიაც უბიწო და წმინდა უნდა იყოსო; თუ კაცი თავისი კერძო ცხოვრებაში ჩირქიანია, უპატიოსნოა და დაუნდობელი, საზოგადო ასპარეზზე რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ იმისაგანაო? თუ კაცს თავის კერძო ცხოვრება ვერ მოუთავსებია რიგიანათ, თუ ის კერძო ცხოვრებაში ცუდი ქმარია, ცუდი მამა, საზოგადოთ ცუდი ყოფაქცევის კაცია, განა საზოგადო საქმეში, საქვეყნო ასპარეზზედაც არ დაიჩნდება ეს ცუდ-კაცობაო?

და ამ ჰაზრის-და-გვარადაც იქცევიან: როდესაც ვინმე საზოგადო ასპარეზზე გამოსვლის სურვილს აცხადებს, გაზეთებში იმწამსვე დაწვრილებითი ბიოგრაფია ანუ ცხოვრების აღწერა იბეჭდება ამ კაცისა; საქვეყნოთ აცხადებენ: ამ კაცს ესა და ეს მშობლები ჰყავდაო, თვითონ იმან ამა და ამ დროს ესა და ეს ცუდი ან კარგი საქმეები ჩაიდინაო, ეს მეგობრები და ნაცნობები ჰყავსო, ამა და ამ დროს ეს სთქვა და ეს დასწერაო და სხვ. და სხვ. ერთის სიტყვით, სულ უბრალო, წვრილმალ გარემოებასაც არ გაუშვებენ იმის ცხოვრებიდამ, საქვეყნოთ რომ არ გამოაცხადონ.

ამნაირად ხალხი ტყობულობს: ვინ უნდა აირჩიოს იმან, ვსთქვათ, თავის წარმომადგენლად, ვინ უნდა გააშაოს და ვინ გაათეთროს.

მართალია, ჩვენ ამისთანა პირები ბევრი არა გვყავს ამოსარჩევად. მაგრამ, თუ ოდესმე გაზეთი ვისმეს შეხებია, მერწმუნეთ, რომ იმ კაცს, უეჭველია, რაიმე საზოგადო მნიშვნელობა ჰქონია. „დროებას“ არასოდეს არ ამოუღია ხმა ისეთს კაცზე, რომლის მოქმედებას რაიმე საზოგადო მნიშვნელობა არ ჰქონიაო, რომლის საქმეს ან სიტყვას სრულებით კერძო ხასიათი ჰქონია.

ღმერთო ჩემო, თუ ახლავე ასე ჰყვირიან, მაშინ რაღა იქნება, როდესაც ერობას შემოიღებენ ჩვენში, და ჩვენი გაზეთი ვალდებული იქნება, რომ ყველა იმ პირზე, რომელიც ხალხის საქმეების წაყვანას იკისრებს, თავის აზრი გამოსთქვას?

ერთი შენიშვნაც: ვინც თავის კერძო ცხოვრებას ერთობ ხელს აფარებს და მალავს, ისე ჰგავს ეს თავის კერძო ცხოვრება იმას ნათელად, უმანკოდ და საქებარად არ მიაჩნია!.. თორემ თუ სამაგალითოა, თუ უბიწოა, რა ენაღვლება, ქვეყანამ გაიცნოს!...

ს. მესხი

### დღიური

☐ „მმართებლობის მოამბეში“ ბრძანებაა დაბეჭდილი, რომ ფოთი-თფილისის რკინის გზის გამგებლად, უ. კლიმენკოს მაგიერად, უფ. ბუნგე დაინიშნებაო.

☐ რუსულს გაზეთს „ხმაში“ დაბეჭდილია ფოთიდამ გაგზანილი კორრესპონდენცია, რომლის ავტორი ამბობს, რომ, რადგანაც ასე გაძნელდა ფოთში ნავსადგურის გაკეთებაო, უკეთესი იქნება სოხუმში რომ გაკეთდებოდესო; ეს უფრო ადვილიც იქნებაო და სხვა მხრითაც უფრო სასარგებლოდ დარჩება რუსეთისთვისო...

☐ ჩვენ შევიტყეთ, რომ, თ. ანტონ ნაკაშიძის მეცადინეობით, ამ მოკლე ხანში გურიაში შვიდი სასოფლო შკოლა გახსნილა; თითო მასწავლებელს სამას-სამას მანეთს აძლევენ წელიწადშიო. ამასთანავე გვწერენ, რომ თ. ანტ. ნაკაშიძეს ამ სასარგებლო მოქმედებისათვის უფ. ქუთაისის ღუბერნატორისაგან მადლობა მიუღია. ის არის სწორეთ მადლობის ღირსი, და არა მარტო ადმინისტრაციის მხრით...

☐ გურიიდამვე გვწერენ, რომ აქ სასოფლო ბანკებზე ბევრი ლაპარაკი არისო; მაგრამ კაცი არ ამოჩნდა, რომელმაც ამ საქმეში მოთაობა იკისროს და დაიწყოსო.

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ოზურგეთის ქალაქის ფული სადღაც გაჰქრა, კაცმა არ იცისო.

☐ ჩვენი ქუთაისელი კორრესპონდენტი გვწერს, გაიგეო, რომ აქაური ურიები მანეთიან ქაღალდის ფულებს ექვს-ექვს შაურად ჰყიდულობენ სოფლელებისაგანო, და ასე ხალხს ატყვილებენო.

ძლიერ შესაძლებელია, რომ ეს ამბავი მართალი იყოს და ამიტომ, ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნება,

## ფელეტონი

### ბოდვა

მოვკვდი.

დიდი მგზავრობა გამარონიეს, ბეწვის ხიდზედ გამიყვანეს და ბოლოს მიმიყვანეს იქ, სადაც მართალთა სულნი განისვენებენ.

იქ დამიხვდენ მოწამის გვირგვინებით ჩვენი წინაპრები, მაგრამ მასპინძლობა კი ვერაფერი გამიწიეს: იწყინეს ჩემი დანახვა და ბრძანეს:

— ახლანდელ ქართველს აქ ჩვენთან რა უნდა?

მაგრამ იქ მდგომმა ანგელოზთა გუნდმა ხმა-ტკბილად დასძახა: „აქსიოს“; მაშინ კი შემიწყნარეს და ერთმა მათგანმა მკითხა სააქაოს ანბავი, თუ რა მდგომარეობაშია საქართველოო.

ის იყო ანტონ კათალიკოსი. მე მოვახსენე: ყვავის-თქო! ამ სიტყვაზედ გამირისხდა და მომაძახა:

— უგნურო, შენ არ გიკითხავს ჩემი ღრამმატიკა?.. მაგ ლექსს რად გამოაკელი ერთი ასო „ჰ“ და რად დააკარგვინე მნიშვნელობა? საქართველო ჰყვავის ნიშნავს, რომ საქართველო აჰყვავებულია, ე. ი. კეთილდღეობაშია და საქართველო ყვავის კი იმას ნიშნავს, რომ ყვავს ეკუთვნისო. სიტყვა „ჰყვავის“ არის ზმა მესამე პირში და სიტყვა „ყვავის“ კი სახელი არსებითი ნათესაობით ბრუნვაში და ეს როგორ არ იცი?

მე მიუგე:

— თქვენ დროს რომ ზმები და ბრუნვები იყო, დღეს ისინი აღარ გახლავან: გამოიცვალენ-თქო; დღეს სულ სხვა ბრუნვასა ვხმარობთ და ნუ შემრისხავთ, მე უბრალო ვარ-მეთქი!

შემინდო ნათელ-დგომილმა და უფრო ლმობიერად დამიწყო გამოკითხვა მისი, თუ რა მდგომარეობაში არიან ტაძრები, მონასტრები, საზოგადოდ სამღვდელოებაო? აქ ვიშოვნე მეც დრო და მოვინდომე ბევრის რამეს მოხსენება, მაგრამ, ვაი ჩემი ბრალი, იქ ანგელოზების გუნდში რომ მთავარ-ანგელოზები ერიენ— . . . იმათ შემრისხეს და დამიბეს ენა.

ჩემი განძრახვა გულში უხმოდ მიკვდებოდა და ვიწყე გულის ძრახვით ვედრება: „უფალო, ნუ გულის წყრომითა შენითა მამხილებ მე! ნურცა რისხვითა შენითა მსწავლი მე!.. უფალო! ბაგენი ჩემნი აღახვენ და პირი ჩემი უთხრობდეს ჭეშმარიტებასა!“

მაგრამ ამაოდ: ენა მაინც არ ამეხსნა, სანამ გრიგალმან რისხვისამან არ წარმიტაცა და არ დამაგდო ერთს უდაბნოში, მიყრუებულს ქვეყანას.

იქ შიშის ქარმა ამიტანა და ვიწყე ტირილი, მაგრამ ერთი კაცი გამომეცხადა და მითხრა:

— შვილო, ილოცე, ილოცე; ნუ გეშინია, აქ კარგი ბინა მოგინახავს, აქედამ არავინ წაგიყვანს! ვის რათ უნდებხარ? ოქრო არა ხარ, ვერცხლი, თვალი, მარგალიტი და ან სხვა რამე

ყველა სასოფლო სასამართლოებში რომ გამოაცხადებდნენ, რომ ძველი ქაღალდის ბილეთების ახლებზე გაცვლა მომავალი წლის პირველ იანვრამდი შეიძლება.

☐ უფ. ერიცოვი ამ კვირის პარასკევიდამ თფილისის წრის კლუბში ლექციების კითხვას იწყებს. სულ ხუთი ლექცია იქნება. საგანი ლექციებისა არის: „ისტორიული მიმოხილვა პოლიტიკური კავშირისა რუსეთსა და კავკასიის პროვინციებს შუა საზოგადოთ და განსაკუთრებით საქართველოს შუა.“ მოგვყავს პროგრამმა ამ ლექციებისა:

შესავალი.—საჭიროება კავკასიაში რუსეთის მფლობელობის ისტორიის შესწავლისა. — რუსეთის ცნობა საქართველოსა და სომხეთისა მე-XVI საუკუნემდი. კახეთის მეფის ალექსანდრეს ელჩების გაგზავნა მოსკოვში და ქალაქის თარკის დაპყრობა. — პოლიტიკური განაწილება კავკასიისა XVI საუკუნეში.— საქართველოსა და სომხეთის მდგომარეობა.—შიმშილი თფილისში. — შახ-აბაზის გამეფება სპარსეთში.— ბორის გოდუნოვის ელჩები საქართველოში. —კახეთის მეფის ალექსანდრეს მოკვლა და იმის შვილის კონსტანტინეს ასვლა ტახტზე.—შახ-აბაზის თავს-დაცემა საქართველოზე და იმისაგან კახეთის აოხრება. — რისთვის უღალატა საქართველოს მოურავმა გიორგი თარხნიშვილმა?—კახეთისა და ქართლის სამეფოების ბედი.— რუსეთსა და საქართველოს შუა დიპლომატიური კავშირის განახლება მეფე მიხაილ თეოდორეს ძის დროს.—იმერეთი და გურია რუსეთის მფარველობას თხოულობენ. — თეიმურაზისაგან ელჩის გაგზავნა რუსეთში 1624 წელს შემწეობის სათხოვნელად და მოსკოვის მმართებლობის უარი.—

## „დროების“ კორრესპონდენცია

ოზურგეთი, მარტის 12-ს

„დროების“ მეოცდა ექვსე ნომრის „დღიურში“ გამოცხადებული ორიოდე ამბავი, გურიის სასოფლო შკოლებზე, მაიძულებს უფრო დაწვრილებით მოგწეროთ ამ საგანზე.

გურიაში ყველა სასოფლო შკოლებზედ და მე ვვონებ, სხვა უეზდების სასოფლო შკოლებზედაც უფრო დაწინაურებულია ბახვის საზოგადოების სასოფლო შკოლა, რომელიც იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1874 წელს დაარსა თავის ხარჯით. ეს შკოლა კარგი ორ-ეტაჟიანი შენობაა და რიგიანი მასწავლებელიცა ჰყავს. ამ შკოლაში ახლა 138 მოსწავლენი დაიარებიან, რომლებსაც ძლიერ კარგათ და მოსაწონად ასწავლის ახალის, მეთოდითა შკოლის მასწავლებელი და მოსწავლენიც ძლიერ ხალისიანად სწავლობენ; მალე მეორე მასწავლებელსაც მიუმატებენ. ამას გარდა ისმის, რომ ზევით ეტაჟში ქალების შკოლის გახსნასაც აპირებს შკოლის დამაარსებელიო.

მეორე კარგი შკოლა არის დაბალანჩხუთს აშენებული საზოგადოების ხარჯით და მასწავლებელიც რიგიანი ჰყავს უ. ინსპექტორის განკარგულებით დაყენებული. ეს შკოლა აკურთხეს წასრულს 1874 წლის ოქტომბრის თვეში. შკოლაში ამჟამად 110 მოსწავლენი არიან.

მესამე შკოლა ნიგოითის საზოგადოებაში არის, სადაც 112 მოსწავლენი სწავლობენ ახალის მეტოდით, ძლიერ კარგათ და ხალისიანად. ეს ნიგოითის საზოგადოება შესდგება 221 დროებით-ვალდებული გლეხების და ადგილობით მებატონეთ. მაჭუტაძეებისაგან, რომელნიც, რაც შეიძლება, კარგს შემწეობას აძლევენ შკოლას.

მეოთხე ჩიბათში არის, რომელშიაც 76 მოსწავლენი ირიცხებიან და მასთან კარგი მასწავლებელიც.

ამას გარდა გურიაში სხვა გვარიანი შკოლებიც არიან, მაგრამ ყველას ჩამოთვლას საჭიროთ არა ვრაცხთ.

ჯუმუყვეთის შკოლას თუ იკითხავთ, სწორეთ სამაგალითო შკოლაა სიძველისა და სიცუდისა გამო: ამ იანვრის თვეში ბუხარი და იატაკი ორივე დანგრევია, და ახლა შკოლა დროებით ერთ სოფლის კანცელარიის ოთახში გადუტანიათ. ამ შკოლის შაგირდებმა როგორც მითხრეს, სრულებით არაფერი არ იციანო.

ჯუმათის საზოგადოების შკოლა დიდი ხნიდგან არის დაარსებული; 1868 და 1869 წლებში გურიაში სამაგალითო სოფლის შკოლათ ითვლებოდა, 80 მეტი მოსწავლენი ირიცხებოდენ, მერმე კი დაეცა სოფლის მოხელეების დაუდევრობით: რაც რომ აუშენებიათ, მას მერმეთ არაფერი არ გაუკეთებიათ. გასრულის 1874 წლის რევიზიის დროს ინსპექტორს მხოლოდ 13 მოსწავლენი დახვდა შკოლაში, ახლა 18 მოსწავლენი ირიცხებიან. საზოგადოება შესდგება 500 თუ 600 საეკლესიო თუ სახელმწიფო გლეხებისაგან. ჯუმათში ახლა ახალი მასწავლებელია და ცდილობს რაც შეიძლება ბევრი მოსწავლენი შეაგროვოს და კარგათ ასწავლოს.

ძიმითის საზოგადოების შკოლა აქამდის კი მართლაც კარგი დაწინაურებული იყო იქაური მასწავლებლის მეცადინეობით, მაგრამ ეს მასწავლებელი გასრულის წლის 1874 წ. ნოემბრის თვიდგან ბახვის საზოგადოების შკოლაში არის გადაყვანილი მასწავლებლად, ინსპექტორის განკარგულებით, და ახლა თუ როგორ მიდის ძიმითის სასწავლებლის საქმე კარგათ არ ვიცი.

რაიცა შეეხება „დღიურში“ გამოცხადებულს ამბავს, რომ მასწავლებელნი უვარგისნი არიანო, ამის თაობაზე უნდა მოგახსენოთ, რომ რამე ნაკლულევანება არ ჰქონდეს, იმისთანა კაცი არ მოიპოვება დედა მიწაზედ და რასაკვირველია ჩვენშიც იქნება ნაკლულევანება; მაგრამ ჩვენ სოფლის შკოლის მასწავლებლები მუდამ ვსცდილობთ, რომ ჩვენი ნაკლულევანება დავინახოთ და გავისწოროთ და სამართლიანი მხილება ჩვენ არც გვაწუხებს.. გურიაში მეტი თუ არა რვამდის მაინც კარგი სახალხო შკოლებია და რიგიანი მასწავლებლები, და გურულები ისე უმეცარნი არ არიან, რომ სწავლის სურვილი ქონდესთ, შკოლები გაიკეთონ და რიგიანი მასწავლებლები ვერ იშოვნონ.

გარდა დაბა ხონის ყრილობისა, რომელიც გვაქვს ყოველ წლობით სექტემბრის თვეში, ჩვენ გურიის რამოდენიმე სასოფლო შკოლის მასწავლებლებს გვაქვს ამხანაგობა და ყრილობა ერთმანეთში თავისუფალ უქმე დღეებს, ერთ დანიშნულ ადგილზე, რომ მოვილაპარაკოთ სხვა და სხვა შკოლის სასარგებლო საქმეზედ, აგრეთვე სამასწავლებლო საგნებზედ. ჩვენ ვცდილობთ არა თუ ფულის შეძენის ანგარებით და ღარიბი ხალხის მოტყუებას, არამედ ჩვენი მასწავლებლობის პირდაპირი მოვალეობა რამდენათაც შესაძლოა ავასრულოთ რიგიანად და სინიდისიანად. ამნაირი კრება ხშირად გვაქვს ჩვენ დ. ლანჩხუთს ბახვის, ლანჩხუთის, ნიგოითის, ჩიბათის და ჯუმუყვეთის შკოლების მასწავლებლებს. არც ერთს ჩვენს კრებას არ ჩაუვლია უსარგებლოდ.

გურიაში მომეტებული ნაწილი რიგიანი სასოფლო შკოლებისა თ. ანტონ ნაკაშიძის შემწეობით, განკარგულებით და მზრუნველობით არის დაარსებული. დიდს შემწეობას გვაძლევს ის ჩვენ სასოფლო შკოლების მასწავლებლებსა, როგორც სიტყვიერის დარიგებით ისე საქმით.

კ. კალანდარიშვილი

## ფოთი თფილისის რკინის გზა

ერთს რუსულს გაზეთში შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი ფოთი-თფილისის რკინის გზის გაყვანაზე და კამპანიაზე:

„ამ გზის გაკეთება პირველად მმართებლობის ხარჯით იყო დაწყებული. შემდეგ მუშაობის გასათავებლად და ექსპლოატაციისთვის კონცესიით გადასცეს ფრანცუზულ აქციონურს კამპანიას, რომელიც 1867 წ. იენისის 25 დაამტკიცეს და რომლის მოთავეედ იყვნენ უ. უ. პაუერი და პარკინსონი. თავნი ფული კამპანიისა იყო მაშინ 70,600,000 ფრანკი აქციებითა და ობლიგაციებით.

ნოემბრის 16 ს 1873 წელს უმაღლესად დამტკიცდა წესდება რკინის გზების საზოგადოებებისა და ეს კამპანიაც უბრალო რუსის აქციონურ საზოგადოებად შეიქნა. თავნი ფული ამ საზოგადოებისა, რუსულის ფუ-

---

სამკაული შენ აქ ხელსაც არავინ გახლებს!

ეს მითხრა და უკუმაგდო მე ზარდაცემული. მაშინ უეცრად მომელანდა სხვა და სხვა საშიში ეშმაკები და ენის ყოფით დამიწყეს ჯავრება. ხელში რაღაც დავთარი ეჭირათ და მეძახდენ:

— აქ არის შენის ცოდვების სიაო!

დიდი სია იყო! ძალიან დიდი! მარამ მე უფრო იმან დამალონა, რომ ღერბის ქაღალდზედ იყო დაწერილი და ზედაც შავი ბეჭედი აჯდა.—შევშინდი და ვიფიქრე: ნეტავი ამაზედ უსაშიშრესი სანახავი თუ კიდევ იყოს რამე ქვეყანაზედ-თქო? მაგრამ რა გამოდგა: თურმე როგორც ცუდს ისე კარგს რამეს საზღვარი არა ჰქონია: რომ გამომეღვიძა, ვნახე, რომ თავზედ ჩემი კრედიტორი (მოვალე) მადგა ვექსილით ხელში. ოჰ, ეს კი უარესი სანახავი იყო ჩემთვის; და ორის უსიამოსაგან უმცროსი ავირჩიე, დავხუჭე თვალები და ისევ ძილს მივუბრუნდი.

ისევ ეშმაკებს ჩაუგდე თავი ხელში. მაშინ კი იმათაც მტაცეს ხელი, წამათრიეს როკაპთან გასასჯელათ, წარუდგინეს ცოდვების სია და მომცეს შემდეგი კითხვები:

პირველი კითხვა. ერთის სასწავლებლის აყალ-მაყალზედ რაები გილაპარაკნია?

მიგება. არაფერი ამის მეტი, რომ იქ, როგორც სჩანს ერთის მათგანის წერილისაგან, თურმე კურდღლობიას თამაშობენ და აქვსთ გახურებული ყეფა. ამას თქმა ხომ ჩემი ბრალი არ არის, თვითონ სთქვეს.

მეორე კითხვა. ამ ჟამათ ყოველი კაცი ზელათის ნახშირზედ ჰყვირის და შენ კი თურმე ამის წინაალმდეგი ხარ და ხმას არავის აღებინებ?

მიგება. ეგეც ტყუილი ჩაუწერიათ: მართალია, სხვებმა ზელათის ნახშირი გამოაჩინეს, მაგრამ მე, თუ ნებას მომცემენ, ვიყვირებ და ზელათის ნახშირს კი არა სხვასაც ძვირფას რასმე გამოვაჩენ, — მაგაზედ რათ მირისხდებით?

მესამე კითხვა. მართალია, რომ არც შენ ისვენებ და არც სხვებს ასვენებო?

მიგება. ტყუილი მოგხსენებიათ; ჩვენში მოსვენება არავის აკლია: დღეში თხუთმეტი საათი სძინავთ. ჩემთვის ცილი შეუწამებიათ. — მაგრამ, ბატონო, რაღათ მტანჯავთ, მიზეზს რომ მიკრებთ: განა ისე კი არ შეგიძლიათ ჩემი დასჯა?!.. ტყვილა ნუღარც თქვენ ილალებით და ნუღარც მე მღალავთ; გამგზავნეთ, საითაც გინდოდეთ.

ამ დროს კიდეც გამომეღვიძა და მადლობა ღმერთს, მაშინ კი ჩემი საყვარელი ძმა მადგა თავზედ და გავხარდი, ისე ღმერთმა გაგახაროსთ....

აკაკი

ლის ანგარიშით, იყო აქციებით 7,060,000 მანეთი და ობლიგაციებით 21,180,000 მან. პირობის ძალით, ამ კაპიტალის ერთი წილი აქციები (4,210,000 მან.) მართებლობას უნდა დარჩენოდა. ამის გამო მმართებლობის მხრით საზოგადოების მოქმედების კანტროლისათვის ხუთ დირექტორში, რომელნიც რკინის გზის გამგეობას შეადგენდნენ, ერთი მართებლობისაგან უნდა ყოფილიყო დანიშნული.

„პეტერბურღის უწყებებს“ გაუგონია ეხლა, რომ ყველა აქციები, რომელიც მმართებლობას ეკუთვნოდა, ამ ჟამად რამდენსამე კერძო პირს უყიდნია და ამათ იმედი აქვთ, რომ მთავრობისაგან ტფილისიდამ ერევანზე და ჯულფამდი რკინის გზის გაყვანის კონცესსიას მიიღებენო. ეს გზა ოსმალეთის სამზღვარზე გაივლისო და ერთის მხრით გაგრძელება იქნება ფოთი-ტფილისის რკინის გზისა და მეორეს მხრით შეაერთებს იმ გზას, რომელიც ჯულფიდამ თავრიზამდინ უნდა გაიყვანონ და რომლის კანცესსია სპარსეთის შაჰმა უკვე მიანიჭა უფ. ფოლკენგაგენს.

---

ამ სპარსელი ქართველის გალექსულ (?) ზღაპარს მხოლოთ იმის მინუშათ ვბეჭდავთ, რომ უჩვენოთ ჩვენ მკითხველებს — თუ როგორის ქართულის ენით ლაპარაკობენ ის ქართველები, რომელნიც დიდი ხნიდგან არიან სპარსეთში დასახლებულნი. რედ.

## ზღაპარი

მოდი ვსთქვათ ზღაპარი: იყო და არიყო ერთი კაცი ღვთის ნიერი.

იმას ჰქონდა ერთი ბაღი ბუნებით მშვენიერი. ის ბაღი იყო ორ წყალს შუვა. ორივ წყალი მასა რწყავდა. მთელი წელი ოთხი ჟამი ზამთარ ზაფხულს სულ ყვაოდა. პირმცინარედ მაღლა ცაში მზეს პირდაპირ შასცქეროდა.

ამ კაცს ჰყვანდა ამ ბაღშია მცხოვრებლები ფრინველებ. ბულბულები ვარდის ბუჩქზედ ლამაზის ხმითა გალობდნენ. გუგულები მაღალხიდგან გუგუ გუგუს იძახოდნენ. ბაღის პატრონს ძალიან დიდად უხაროდა. უწყენარათ შიგ მცხოვრებლებს უც ქეროდა.

მაგრამ ერთ ჟამს მტერი გაუჩნდა იმის ბაღსა. მოდიოდნენ ოთხივ კუთხით. ქარი კედელი ველარ ძლებდა. იმის კედლებს სულ ანგრევდნენ, თითონ ბაღსაც ასწორებდნენ. უთვლად უთანხმო იმის ბაღში ყარყარობდნენ ე. ი. ამას იძახოდნენ ხო რაც არა პატრონს ვარგივათ არც არას სხვა დაგვეშლისო. ამისია შიგა ვცხოვრობთ. სხვისაც იყოს შიგ ვიცხოვრებთო.

ბაღის პატრონი შეაწუხეს, მოსავალი სულ გაჰქონდათ შიგ მცხოვრებლებს ათხელებდნენ. იმან დაიწყო იქით აქეთ დიდი ბრძოლა. იმის ბრძოლამ ვერაფერი ვერ გაუწყო რა, რადგან მტერი ბევრი ჰყვანდა იმას ბაღს. რა უნდოდა წუთსოფლისა. ის ფიქრობდა რომ ის ბაღი დაირჩენოდა თავის შვილებს.

მაგრამ ერთმა ასე უთხრა მე შენ ერთ ხერხს გასწავლიო, რომ იმან მოსპოს შენი ბაღის ქურდებიო: შენ იპოვნე კომბოსტოს თესლიო და შენს ბაღში დათესეო, მაშინ იმას ველარვინ წაილებს ვერც ვერავინ შეჰხედავსო.

ეს სიტყვები ბაღის პატრონს ძალიან გეხარდა. რადგანაც არ იცოდა კომბოსტოს რა თვისება აქვს. ადგა და ბევრი იარა შეიდ მთას უკან ძლივს იშოვა მისი თესლი, მოიტანა იმან, მოხნა სიხარულით თავის ბაღში. როდესაც ნორჩად თავი ამოყო ბაღის პატრონს ძალიან უხაროდა, რადგანაც მომავალი არ იცოდა სხვა სარგებლობასაც მელოდა. ეს კომბოსტო რომ დამსხვილდა მართალია ქურდი მოსპო, რადგანაც კომბოსტო დიდი იყო, იმის წალება მძიმე იყო.

მტერმა იმის ბაღი ვერაოდეს ვერ ვახსენა. მაგრამ პატრონს რა დაიმართა როცა კომბოსტო დამსხვილდა იმისი ბაღი დაჩრდილა. ძირს ფოჩები ჩამოყარა. მაღლა თავები დაისქელა. ვარდის ბუჩქები დაისაკუთრა. წვრილი მცენარები სულ მოუსპო. ბულბულები შეაწუხა.

მაშინ ის კაცი დაღონდა სულ ამასლა იძახოდა. რავქენ ჩემთვის რა დავმართე ასეთი ბაღი რას წავახდინე. ჩემის ხელით რა მოვიხდინე. კომბოსტოთ გავსილა ბაღი. ჩემთვის შეუკრავს გზა და კვალი. თუ ხეირი ჰქონდეს ჯანი გავარდეს. მაგრამ რავქნა უხეიროა. წნილად ჩავდებ მჟავეაო უმათ მივირთმევ მწარეაო. ღმერთო ეს რა შევცოდეო. ნეტამც გაუჩნდეს ჭია თუ რომ მოსპოს იმანაო. ეს რავქენი რა ჩავიდინე ვის უჩივლო ვის ხელშიო. ჩიმი თავი რას გავაბი ჩემის ხელით მახეშიო. ერთს მოვგლეჯ ათი ამოვა ათს მოვგლეჯ ასი ამოვა, ღმერთო შენ გაუჩინე მას ჭია თავისიო თუ რომ მოსპოს იმანაო.

უწინდელი ქურდები ბევრით ვერას მაკლებდნენო. რამთენიც იმათ მიჰქონდათ უფრო მეტი მრჩებოდაო. კომბოსტომ კი ჩიმი ბაღი ერთიანათ დაისაკუთრა. და მოსავალი სულ მომისპო. ბაღიდგან წმინდათ ხელი დამაბანინა. ჩემი ბედი მან გაშავა. ღმერთო რა ვქენ რა შევცოდე, შენ გაუჩინე მას ჭია თავისიო, თუ რომ მოსპო იმანაო ბაღის პატრონი მწვავის გულით ასე ამბობდაო. ეს რა არის რასა ვხედავთ ხომ არა ვარ სიზმარშიო. აბა ერთი გავინძრიო ხომ არა ვარ მე ძილშიო. მაგრამ მე ძილში არა ვარ ჩემი ბედია ძილშიო.

იმის ბაღის მცხოვრებლებმა ერთი ასე გვმომძახეს შენ მიანდე მომავალსა ეგებ კიდევ ჩვენ ჩავცივდეთ შენს ხელშიო!

სპარსელი ალექსანდრე ონიკაშვილი

---

# ქრონიკა

სტატია VIII

## თემურ-ლენგი საქართველოში

—

ბევრი კვნესის და მიშლის თემურლენგის უწყალოდ საქართველოს შეიდჯერ აოხრებაზე ლაპარაკს; მაგრამ რაც წარსული ქართველების ისტორიული ცხოვრების ჭეშმარიტებას შეადგენს იმაზე არ ლაპარაკი მოტყუება იქნება, ამისათვის ისევ თქმა ჰჯობს, არა თქმასა: ჩვენის მამაპის შავი დღის გახარებით ჩვენი გული არ კი უნდა დაიჩაგროს და შეძრწუნდეს, არამედ უფრო უნდა გამხნევდეს, და ქართველს ათქმევინოს, რომ თუ ჩვენი მამაპაპანი შავს დღეს მაინც მხნენი იყვნენ, უყვარდათ ერთმანეთი, ქართველი ხალხი, სარწმუნოება და ენა, ახლა რაღა დაგვემართა, როცა შვიდობიანი ცხოვრება გვაქვს. მე ვიცი ბევრი ქართველი, რომელიც რომ უყურებს წარსულს დროში ქართველების აოხრებას, ცემა-ტყვევას, კვლას და დაწიოკებას, გული უძრწუნდება, თრთის და ღმერთს მადლობას სწირავს, რომ ის დროები ახლა აღარ არიან. მეც ვიტყვი, მადლობა ღმერს, რომ ისინი აღარ არიან; მაგრამ იცით უწინ რათ იყო და ახლა რისთვის აღარ არის? უწინდელ დროში ხალხთა-შორის უფლებები არ არსებობდნენ სახელმწიფოებში; უწინ ერთი ხალხი მეორეს აწუხებდა, ჟლეტდა, აოხრებდა და არც არავინ ესარჩლებოდა; მაგრამ ახლა ასრე არ არის. ერთმა ხემწიფემ მეორე რომ შეაწუხოს, ანუ უსამართლოდ მოექცეს, მაშინ დაჩაგრულს სხვა მეფეები ესარჩლებიან და მძლავრს ნებას არ აძლევენ, რომ სუსტი ხალხი შეაწუხოს; ახლა არის შემოღებული სახემწიფოების მმართველობაში კაცთ-მოყვარეობითი პოლიტიკა, მართებლობაები ყველანი ერთმანერთს ლომივით უყურებენ, არ აძლევენ ნებას, რომ ვინმემ მათგანმა სხვა ქვეყნები დაიპყრას. ამ გვარი პოლიტიკა რომ არ ყოფილიყო, ჩვენი დამღუპველი ოსმალეთი და სპარსეთი აქამდე დამხობილნი იქნებოდნენ, ერთი რომელიმე ახლანდელი ევროპის ხემწიფეთაგანი დაამხობდა იმათ და შეიტანდა იმათში თავის უფლებას; მაგრამ ამის ნებას არ აძლევენ მართებლობაები ერთმანერთს. მაშასადამე ქართველი კაცის შიშს და ნატვრას, რომ უწინდელი დროები არ დაბრუნდნენ, საფუძველი არა აქვს. თემურ-ლენგების დრო წავიდა. თემურ-ლენგმა შვიდჯერ რომ ააოხრა საქართველო, დაანგრია ხალხთა სალოცავები, ციხეები, უწყალოდ დახოცა ხალხი და სხვა მეფეები ამას ყურს არ უგდებდნენ, ახლა ის დრო აღარ არის. ამისათვის იმედი მაქვს არ ეწყინება ქართველს, რომ მოკლედ ერთი ორიოდე სიტყვა ვთქვა თემურლენგზე თუ რა მოახდინა იმან საქართველოში.

თემურლენგს მახმადის სარწმუნოება ეჭირა და იმისი ძლიერ ერთგული იყო. ამისათვის უნდოდა საქართველოში მოესპო ქრისტიანობა. იმან შვიდჯერ სიგძეზე და სიგანეზე გაიარა მთელი აღმოსავლეთის საქართველო, ყოველგან, რაც კი ნახა ეკლესიები, სულ ყველა დაანგრია, დაწვა და რაც რამე შიგ სიმდიდრე და სამკაული [illegible] —ჰყო. აღმოსავლეთის საქართველოში ისეთი ადგილი არ გაუშვა, რომ არ შესულიყოს და ქართველის გული არ აეტირებინოს. ციხეები, სოფლებში შენობეები სულ უწყალოდ დააქცია, დაწვა და რაც ხალხი ხელში იგდო, სულ დახოცა. ამას უნდოდა ქართველები მთლად ამოეწყვიტა, ამისათვის იმათ იჭერდა, ერთად უყრიდა თავს და მერმე უბრძანებდა თავის ცხენოსან ჯარს, რომ ისინი ცხენების ფეხქვეშ გაესრისათ. საქართველოში ყოფილა სამი ეკკლესია სახელით ქალო-უბანი. ერთი მცხეთაში, მეორე მცხეთის დასავლით ექვსი ვერსის სიშორეზე; მესამე ტფილისში, რომელიც ახლაც არსებობს. უფ. პლ. იოსელიანი თავის „Описаніе древностей города Тифлиса,“ 81 გვერდზე ასრე ამბობს: „ამბობენ, რომ იმ ადგილას, საცა იყო ამ მახლობელ დროში დაქცეული ქალოუბნის ეკკლესია ტფილისში, თემურმა შეჰყარა ყმაწვილები და აქ კალოებზე, რომელნიც იყვნენ ამ ადგილას, და უბრძანა თავის მხეცქმილ ცხენოსან ჯარს გაესრისათ ისინი ცხენების ფეხებს ქვეშ. ამ კალოებისაგან, რომლებზედაც ასრე მხეცებრივად ამოწყვიტეს ყმაწვილები, წარმოსდგა სახელ-წოდება ქალოუბანი.“ მაშასადამე სჩანს, რომ თუ საქართველოში ამ სახელით იყო სამი ეკკლესია, — თემურს ამგვარად სამს ადგილას ამოუწყვეტია ქართველები, და შემდეგში შთამამავლობას დახოცილების მოსახსენებლად ეკლესიები აუშენებია იმ ადგილზე, საცა წმინდა სისხლი ქართველებისა დაღვრილა.

როცა ამ წყეულმა და ღვთისრისხვა კაცმა ამ სახით ყველაფერი მისრის-მოსრისა ზემო ქართლში, ქვემო ქართლში და შიდა—ქართლში, ახლა გავიდა კიდევ კახეთში. ის შევიდა საინგილოში და ნუხის მაზრაში, აგრეთვე მიანგრიე-მოანგრიევა ეკკლესიები, სოფლები, ციხეები, დახოცა აქაც ხალხი, როგორცა ეთქვი ერთ წინანდელ ისტორიულ სურათში, მერმე შევიდა წახურის ხეობაში, საცა სცხოვრებდა ქართველი ხალხი. ამ მთებში მცხოვრები ქრისტიანი ქართველები იმან ხმლით მოაქცია მახმადიანობაზე და დაუყენა მოლები არაბთაგან. თეიმურაზ ბატონიშვილი თავის ისტორიაში, 31 გვერ. ასრე ამბობს: თემურლანგმა დაიპყრნა კავკასიის მთებში მცხოვრები ქართველები, მოაქცივნა მრავლისა ტანჯვითა და სხვანი ლიქნითა და წვალებითა მრავლითა, დაუდგინნა არაბნი მოლანი, განუწესა მათ, რათა ასწავებდენ ყრმათა მათთა წერილსა არაბულისა ენისა, მისცა მათ ბრძანება ფიცხნი არღარა კითხვად და არცაღა სწავლად ქართულისა წიგნისა და რათა არცაღა ენა ქართული იზრახებოდეს მათ შორის.“

ამ ისტორიულ ფაქტს ამტკიცებს აგრეთვე ხალხურის გადმონაცემიცა. ახლანდელი წახურის ლეკები ამბობენ, რომ იმათი მამაპაპა უწინ ქრისტიანები ყოფილან, მაგრამ ლენგ-თემურმა ისინი მახმადიანობაზე მოაქციაეო.

მაგრამ თემურმა საქართველო მარტო ამას არ დააჯერა. იმან შეკრიბა ურიცხვი ქართული წიგნები და თან წაიღო. უფ. იოსელიანი იმავე თხზულებაში, 152 გვერ. ასრე ამბობს: „სამარყანდში, თემურის სატახტო ქალაქში, აქამდე შეინახებიან ქართული წიგნები, რომელნიც იმისმა ლაშქარმა შეაგროვა საქართველოში.—ეს ცნობები შეგვატყობინა მსწავლულმა სომეხმა ხეჩატურა ოვსიანიანცმა, აღმოსავლეთის სხვა და სხვა ენების მცოდნემ, და სამარკანდის ერთს კოშკში თემურისაგან წაღებულის ქართულის ხელნაწერების მნახველმა.“

ინგილო ჯანაშვილი.

## ცუდი ზუავი

მოთხრობა ალფონს დოდესი

(დასასრული)

—

ამ დროს ეზოში ვიღაცის ფეხის ხმა მოისმის. მჭედელი შემოდის.

— ჰანრი, მამა შენი მოდის! წადი, დაიმალე სადმე საჩქაროთ. მანამ მოველაპარაკები, აუხსნი, გულს დაულბობ, იქნება აღარ გაგიწყრეს...

ჰკრავს გაშეშებულს ჰანრის ხელს და ბუხარს უკან დამალავს. თვითონაც შიშით კანკალებს; მაგრამ თავს იმაგრებს, ხელსაქმეს დაიჭერს და დაჯდება, თითქო აქ არაფერიაო.

×

საუბედუროთ, ამ ფაცა-ფუცში ჰანრის სამხედრო ქუდი სტოლზე დარჩა, და ლორის ყველაზე უმალ ეს ნივთი ეცა თვალში. დედა-კაცს შეხედა: გაყვითლებულია და ცახცახებს. იმწამსვე ყველაფერი გაიგო.

— ჰანრი მოვიდა განა? დაიყვირა საშინელის ხმით ლორიმ; შეშლილივით მივარდა კედელს, ერთი თვალის დახამხამებაში ჩამოიღო ხმალი და გაექანა ბუხრისაკენ, სადაც შერცხვენილი, შეშფოთებული ჰანრი ატუზულიყო და კანკალებდა.

დედა შვილსა და ქმარს შუა ჩადგა.

— ლორი! ლორი! არ მოკლა, შენი შვილია! მაგის აქ მოსვლა ჩემი ბრალია: მე მივსწერე, რომ შენ მუშა გეჭირება სამჭედლოში და ჩამოსულიყო, ეუბნება, ეხვეწება საწყალი დედა და თან ხელებზე ეპოტინება, რომ ხმალი გამოართვას.... უმაწვილებს ესმის დედის ტირილი, მამის საშინელი ხმა, წამოხტებიან ლოგინიდამ და შეიქნება ამ შუაღამეზე ერთი ჯოჯოხეთის ბღავილი და ხმაურობა...

გაბრაზებული ლორი ბოლოს განზე დადგება, დაშოშმინდება და თავის ცოლს ეუბნება:

— მაშ ეგრე, შენ შეუთვალე, რომ დაბრუნებულიყო. კარგი; წავიდეს, დაიძინოს. ხვალ ენახოთ...

×

მეორე დღეს რომ ჰანრიმ გაიღვიძა, იმის ყმაწვილობის ოთახში მხიარული მზე ანათებდა, დედა გვერდით უჯდა ლოგინზე; საწყალს მთელი ღამე ქმრის შიშით არ დაეძინა, შვილს უყარაულებდა. მაგრამ იმ ღამეს არც მოხუცებულ ლორის დაუძინია: დილამდი სულ თავის ოთახში დაიარებოდა, ხან ტიროდა, ხან კვნესოდა, ხან რაღაცას ელაპარაკებოდა თავის თავს.

გათენდა თუ არა, თავის სამგზავრო ტანისამოსი ჩაიცვა, დიდი ჯოხი დაიჭირა ხელში და ვაჟის ოთახში შევიდა. მივიდა პირ-და-პირ იმის ლოგინთან და უთხრა:

— ადე ზეზე! ადექი!

შერცხვენილი ჰანრი წამოდგა და თავის ზუავის ტანისამოსისაკენ გასწია ხელი..

— არა, არა, მაგ ტანისამოსს ნუ იცვამ!

— მა რა ჩაიცვას, რაც არა აქვს რა სხვა, უთხრა დედამ.

— ჩემი ტანისამოსი მიე!.. მე აღარ მინდა..

და იმ დროს, როდესაც ჰანრი მამის შინაურულ ტანისამოსს იცვამდა, თვითონ ლორიმ ჰანრის მუნდირი დაკეცა, ქუდი ამოიდვა იღლიაში, ხმალი გადაიკიდა და სულ რომ დაემზადა, მობრუნდა და სთქვა:

— ახლა კი გავემგზავროთ...

სამნივე სამჭედლოში შევიდნენ ხმა-ამოუღებელად. აქ საბერველს უბერავდნენ. ყველა თავ-თავის საქმეს ადგა. სამჭედლო რო დაინახა, ჰანრის თავის ყმაწვილობა გაახსენდა; გაახსენდა ის დრო, როდესაც საბერველს უბერავდა და ცეცხლს შეუჩუჩხუნებდა ხოლმე, რომ ბევრი ნაბერწკლები გაეჩინა და ამდენი ფრანკი მომცაო და ან დედა-ჩემს ამდენი ქათამი მისცაო—ინატრებდა...

ბოლოს მოხუცებული მჭედელი მობრუნდა და უთხრა:

— აჰა შვილო! ეს დასგა, ეს საბერველი, ეს ყველა იარაღები, ეს სამჭედლო—ყველა შენია ახლა... ის ბაღიც, ის ფუტკარიც ღმერთმა მოგახმაროს...

— ეს სახლი, ვენახი, სახნავი სუყველა შენია... შენია, რადგან შენი სახელი და მამაცობა ამეებისთვის შეგიწირავს. ახლა შენა ხარ აქ ბატონი... მე კი მივდივარ... ხუთი წელიწადი უნდა გემსახურნა შენი მამულის საფრანგეთისათვის... რადგან შენ ვერ გადაგიხდია ვალი, მე გადუხდი შენს მაგივრად!..

— ლორი, ლორი! სად მიხვალ, სად აპირებ წასვლას? მოტირალის ხმით ყვიროდა საწყალი დედა-კაცი.

— მამა ჩემო! ეხვეწებოდა შვილიც; მაგრამ მოხუცებულმა თავის ცოლის და შვილის ხვეწნას ყური არ ათხოვა: გამოვიდა თავის ეზოდამ და დიდ შარა გზას დაადგა.

ზიდი-ბელ-აბბეში დგას ზუავის ჯარის მესამე როტა; ამ როტაში ახლაც მსახურებს ერთი ორმოც და ხუთმეტის წლის მოხუცი კაცი, რომელიც თავის ნებით ჩაწერილა ვოლონტერად სამსახურში.

ს. მესხი

## საბაასო

თ. ა. მიქელაძეს

პირველათვე გაგვიკვირდა, თქვენი გამოსარჩლების წერილი რო წავიკითხეთ. გაგვიკვირდა მისთვის, რომ თქვენ ყოველთვის და მარად-ჟამს საქმეში ბრძანდებით, მეურნეობთ. თქვენს შვილს რომ დაეწერა, კარგი იქნებოდა და მოსაწონიც, რადგან საქებარი მწერალია. მაგრამ თქვენ გინებებიათ. ეს რისთვის? გირჩევთ, დროებას ნუ დაჰკარგავთ უ. ზახუტოვის გამართლებაზე [illegible] მისთვის, რომ თვითონ [illegible] ლაპარაკობს თავის სიმართლეზე.

ქსნელი ზიგაუროვი

15 მარტს, ქუთაისი.

## ნარევი

ჩვენ მოგვივიდა იმერეთიდამ შემდეგი ახირებული სანარევო წიგნი:

„არ შემიძლია არ გაგიტყდეთ, უფ. რედაქტორო: ხმა დაყარეს, ვითომც ბევრისაგან ბევრი კორრესპონდენციები მოგდის, რომლებმაც თავი მოგაბეზრესთ. როგორც გავიგე, დღეის შემდეგ მათ ალაგი აღარ ექნებათ, მხოლოთ მარტოკა თანამშრომლები მიიღებენ მონაწილეობას. მე ეს ხმა არ მჯერა მით უფრო, რომ ვინ იცის ზოგიერთ კორრესპონდენციებში რა იდეალი (?) იმალება და ან რა ბრძოლა...

„რასაკვირველია თუმც კი რაიმე ხეირიანი იქნება, იმას თქვენ არ მისცემთ საუკუნო განსვენებას...

„ახლა გიგზავნით ამ მოკლე კორრესპონციას და სხვ.

აიღეთ ხელში რომელიმე ნომერი „დროების“, უფ. ჩვენო კორრესპონდენტო, და ნახავთ თქვენი ეჭვის ახსნას, მაშინ გაიგებთ —ხეირიან კორრესპონდენციებს საუკუნო განსვენებას ვაძლევთ, თუ არა.

* * *

ერთი ჩვენი სოფლელი ფილოსოფოსი გახშირებულ ქურდობისა და ავაზაკობის მიზეზად იმასა სთვლის, რომ ვითომც ჩვენში დარვინისა და ბოკლის სწავლა ერთობ გავრცელდაო, იმათმა თეორიებმა ზნეობით გარყვნა ჩვენი ხალხიო!

ჩვენი ქურდები და დარვინის თეორია — როგორი ახლო კავშირია! როგორ მოგწონთ?

## განცხადებანი


საიმპერატორო მოსკოვის კონსერვატორიაში კურს-შესრულებული არტისტკა, ნ. რიბინშტეინის შაგირდი ს. ი. შევალიე ამ ახლო ხანში გამართავს კონცერტს ფორტეპიანოზე.

პირველი წიგნი
წერა-კითხვის
სასწავლებლად
შედგენილი სურათებით
ამერიკულ მეთოდაზე
სასოფლო შკოლებისათვის
რ. ისარლიშვილისაგან
ისყიდება
ზახაზიზოვის წიგნის მაღაზიაში
პრიკაზის გვერდით
(ფასი სამი შაური)


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | 3 | 27 | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 12 | 30 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 31 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 8 | 2 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ—ხუთშაბ. საღ. 6 საათ.
სტამბოლს—კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს—ოთხშაბათს, ღამით.
ოდესას—პარასკევს, გათენებისას

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.
გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.
დ) ფოთიდამ:
ყოველგან—ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 20 მარტს. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 33 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 348 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი(სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 98 | 75 |
| მოგებიანი(პირველისესხი) | 197 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 193 | — |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკის (5½) | 87 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 220 | — |
| ფოთი-თფილ.რკინ.გზის | 133 | — |
| შავიზღვის ცეც. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 8 მარტს. | | |
| პური შოთაგალის ფთ. | 1 | 20 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 4 | 60 |
| —ამერიკისა, ფუთი. : | 6 | 70 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | 40 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | 1 | — |
| სპირტი, ვედრო. . . | 7 | — |
| შაქარი, კარგი ფუთი . | 8 | 55 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 90 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 19 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | 40 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 5 | 94 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Марта 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.